შეთანხმების ფურცელი

„ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის შექმნის შესახებ“ კონვენციის თაობაზე

სამინისტროს დასახელება	შენიშვნა	შედეგი
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	1. საქართველოს მიერ კონვენციის სავალდებულოდ აღიარების თაობაზე თანხმობა გამოხატულ უნდა იქნას შეერთების გზით, კონვენციის XX მუხლის "a" პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად.	გათვალისწინებულია
	2. მიზანშეწონილია, კონვენციის ქართულენოვანი თარგმანის XVIII, XX, XXI, XXII და XXIII მუხლები შესწორდეს მთარგმნელობითი და სტილისტური თვალსაზრისით. ასევე, ინგლისურენოვან ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მართებულია, ქართულენოვან ტექსტში, მუხლების ქვეპუნქტების ნუმერაცია შეიცვალოს ლათინური ანბანის შესატყვისებით.	გათვალისწინებულია
	3. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი კონვენციის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარება.	გათვალისწინებულია
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აღნიშნულ ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგი არ არის. ამასთან, ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა	გათვალისწინებულია

	განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფის გარეშე.	
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	გათვალისწინებულია
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	1. კონვენციის სავალდებულოდ აღიარების შემთხვევაში საქართველო ხდება რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და კონვენციის XX ,უბლის „a" პუნქტის მე- და მე-3 ქვეპუნქტების თანახმად, კონვენციის საქართველოსათვის სავალდებულოდ აღიარება შესაძლებელია მოხდეს მისი ხელმოწერით, რის შედეგადაც საჭირო იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირება ან საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციასთან შეერთების გზით.	გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შენიშვნის შესაბამისად, რადგან კონვენციის XX და III მუხლები მიუთითებენ კონვენციის მეორე დანართის B პუნქტზე, რომლის მიხედვითაც საქართველო მოწვეულია კონვენციაზე შეერთებისათვის.

	2. კონვენციის ქართულენოვანი ტექსტის XX მუხლის „ა" პუნქტი შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურენოვან ტექსტთან.	გათვალისწინებულია
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	გათვალისწინებულია
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	შენიშვნები არ გააჩნია	გათვალისწინებულია